ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№78. 7824052001**

თარიღი:**21/02/2024**

წარმატებული სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭების, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მულის პირველი პუნქტის ,,ე.ე'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 62-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს წარმატებული სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭების, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დებულება თანდართული დანართის შესაბამისად;
2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ონის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 31 აგვისტოს №78. 78232433 ბრძანება ,,ონის მუნიციპალიტეტის წარმატებული სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭების კონკურსის ჩატარების წესის, პირობებისა და ქვეპროგრამის განაცხადის დამტკიცების შესახებ'';
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე; ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

გიორგი ნოდარიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი